

თავი 4


საოპერაციო და ანალიზური პერიოდები

პროგრამში არსებობს საოპერაციო და ანალიზური პერიოდები, რომელიც უნდა დაყენდეს საბუღალტრო ოპერაციების დაწყებამდე. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.


საოპერაციო პერიოდი

საოპერაციო პერიოდი, როგორც სათაურიდან გამომდინარეობს, არის ის პერიოდი, რომელშიც უშუალოდ გვინდა საბუღალტრო ოპერაციების შესრულება (გატარების დამატება, არსებულის კორექტირება, ნაშლა და ა.შ.). ანუ საბუღალტრო ოპერაციის (გატარების) თარიღი უნდა ხვდებოდეს საოპერაციო პერიოდის დიაპაზონში. წინააღმდეგ შემოხვევაში პროგრამა არ მოგცემთ ამ ოპერაციის შესრულების საშუალებას.

პერიოდის დასაყენებლად უნდა აირჩიოთ ძირითადი მენიუს ქვეშ მოთავსებული ლილკი - **პერიოდის დამტკიცება** 1.01.2006 - 1.01.2007 და 2.01.2006 - 2.01.2007. იხილავთ ეკრანს:




სადაც ხედავთ ანალიზური პერიოდის ბარათს, რომელსაც მოგვიანებით განვიხილავთ. ხოლო საოპერაციო პერიოდის დასაყენებლად უნდა აირჩიოთ ბარათი “საოპერაციო პერიოდი”. ეკრანზე იხილავთ დღის რჩევას:



ყურადღებით გაეცანით ამ ინფორმაციას. თუ გინდათ, რომ მომავალში აღარ გამოვიდეს ეს ეკრანი, მონიშნეთ ველი “**აღარ გამოვიყვანოთ ეს შეტყობინება**” და დააჭირეთ ღილაკს -

იხილავთ ეკრანს:




როგორც ეკრანზე ხედავთ, პერიოდის პირველი თარიღი გაუფერულებულია და ავტომატურად ზის ის რიცხვი, რომელიც დააყენეთ სასტარტო ნაშთების ეკრანში, ნაშთების დასმის დროს. ანუ საოპერაციო პერიოდის პირველი თარიღი სასტარტო ნაშთების თარიღის იდენტურია და იცვლება მის შესაბამისად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თქვენ ვერ შესძლებთ საოპერაციო პერიოდის პირველი თარიღის შეცვლას ამ ეკრანში. ხოლო პერიოდის მეორე თარიღის შეცვლას შესძლებთ ღილაკით -


ან , რომელითაც შეგიძლიათ დააყენოთ თქვენთვის სასურველი თარიღი. გაითვალისწინეთ, რომ პროგრამაში ვერ შესძლებთ საბუღალტრო ოპერაციების შესრულებას ისეთი თარიღით, რომელიც არ შედის თქვენს მიერ დაყენებულ საოპერაციო პერიოდში. მაგალითად, თუ საოპერაციო პერიოდი გაქვთ მხოლოდ იანვრის თვე 1.02.2006-მდე, მაშინ შეუძლებელი იქნება ოპერაციების შესრულება დეკემბრის ან თებერვლის თარიღით.

პროგრამაში გარკვეული საბუღალტრო ოპერაციების შესრულების შემდეგ, გეძლევათ საშუალება დახუროთ ეს თუ ის საოპერაციო პერიოდი. ეს სასარგებლო (მაგრამ არა აუცილებელი) საშუალებაა ბევრი ისეთი ორგანიზაციებისთვის, რომლებიც რამოდენიმე წელია იყენებენ პროგრამა “ორისტულტრია” - ს და სურთ წინა წლების ან სხვა გარკვეული საოპერაციო პერიოდების დახურვა, რათა თავდან აიცილონ უნდებლივ (ან განზრახ) შეცდომები. აგრეთვე, პროგრამა თქვენს მიერ დაყენებული საოპერაციო პერიოდს მიხედვით ანარმოებს ნაშთების და ბრუნვების გადათვლის. ამიტომ, რაც უფრო დიდი მონაცემთა ბაზა გექნებათ და შესაბამისად დიდი საოპერაციო პერიოდი, პროგრამა მით მეტ დროს მოანდომებს ნაშთების, ბრუნვების და ა.შ. გამოტანას ეკრანზე. ამასთან, საკურსო სხვაობის ოპერაციაც (იხ. თავი II “**ვალუტა და საკურსო სხვაობა**”) სრულდება მთელი საოპერაციო პერიოდისთვის, ამიტომ თუ თქვენ არ გინდათ, რომ ეს ოპერაცია შეეხოს გარკვეულ პერიოდში შესრულებულ გატარებებს, საჭიროა დახურული გქონდეთ ეს პერიოდი.


მაგალითისთვის დაგზუროთ ეკრანზე არჩეული დიაპზონი. ამისათვის, დააჭირეთ ღილაკს - დაავირეთ საოპერაციო პროცესი 2.01.2006 - 1.01.2007, რომელზეც ასახულია არჩეული საოპერაციო პერიოდი. ეს თარიღები ავტომატურად იცვლება საოპერაციო პერიოდის შეცვლასთან ერთად. იხილავთ გაფრთხილების ეკრანს:



სადაც დააჭირეთ **OK** - ს. შემდეგ კი კვლავ აირჩიეთ ღილაკი - დაავირეთ საოპერაციო პროცესი 2.01.2006 - 1.01.2007. იხილავთ ეკრანს:




დააჭირეთ **OK** - ს. პროცესის დასრულების შემდეგ ეკრანზე იხილავთ:



როგორც ხედავთ ველში “დახურული პერიოდები” გაჩნდა პერიოდი: 2.01.2006 - 01.2007, ხოლო საოპერაციო პერიოდის პირველ თარიღში ავტომატურად ჩაჯდა 1.01.2007, ანუ დახურული პერიოდის ბოლო თარიღი, რაც ნიშნავს, რომ საბუღალტრო ოპერაციების შესრულება შეეცდებათ ამ თარიღიდან. აგრეთვე, ეკრანზე ხედავთ, რომ გააქტიურდა

ლილური - ბაზნეაზ საოპერაციო პროცესი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია საჭიროების შემთხვევაში (გამოგრჩათ რომელიმე გატარების შესრულება, საჭირო გახდა გატარების კორექტირება ან ზედმეტი გატარების წაშლა) გასხმათ დახურული საოპერაციო პროცესი, რადგანაც, როგორც არა ერთხელ აღნიშნეთ თქვენ ვერ შესძლებთ დახურულ საოპერაციო პერიოდში ოპერაციების შესრულებას, კორექტირებას და წაშლას. თუ თქვენ შეეცდებით შესრულოთ რაიმე საბუღალტრო ოპერაცია ისეთი თარიღით, რომელიც არ შედის საოპერაციო პერიოდში გამოვა შეტყობინება:



დახურული პერიოდის გახსნას შესძლებთ, თუ შესაბამის ველში მონიშნავთ დახურულ დიაპაზონს, ჩვენს შემთხვევაში ეს არის 2.01.2006


- 01.2007 და დააჭირთ ლილურს - ბაზნეაზ საოპერაციო პროცესი 2.01.2006 - 01.2007.

გაითვალისწინეთ, რომ თუ გაჭვთ რამდენიმე დახურული პერიოდი, მაგალითად, სამი და გინდათ პირველი დახურული პერიოდის გახსნა, ჯერ უნდა გახსნათ მესამე, შემდეგ მეორე და ბოლოს პირველი (ანუ ბოლო დახურული პერიოდიდან მოყოლებული იქამდე, რომელშიც გჭირდებათ ცვლილებების შეტანა).

ანალიზური პერიოდი

ანალიზური პერიოდი გამოიყენება უკვე შესრულებული საბუღალტრო ოპერაციების ანალიზისთვის, ნებისმიერი პერიოდისათვის, რომელიც მოიცავს დახურულ საოპერაციო პერიოდებსაც. ანუ პროგრამა მოუხდავად დახურული საოპერაციო პერიოდებისა, ანალიზური პერიოდის მიხედვით გაჩვენება ეკრანზე საბუღალტრო ოპერაციებს და მათგან გამომდინარე შედეგებს, რათა შესძლოთ გრაფიკული ანალიზის ჩატარება ამ პერიოდის მონაცემებზე. ოლონდ, თუ ოპერაცია (გატარება) შედის დახურულ საოპერაციო პერიოდში, ვერ შესძლებთ მასზე ზემოქმედებას.

ანალიზური პერიოდის ცვლილებას შესძლებთ ღილაკით - **ანალიზური პერიოდი 01.01.2006 - 01.2007**, რომლის არჩევის შემდეგ იხილავთ ეკრანს:



მოცემულ ეკრანზე შეგიძლიათ მონიშნოთ ნებისმიერი პერიოდი. როს შემდეგაც პროგრამა გაჩვენებთ ამ პერიოდში შესრულებულ გატარებებს და შესაბამისად ამ გატარებებიდან გამომდინარე ნაშთებს, ბრუნვებს და ა.შ. მაგალითად, თუ მონიშნავთ იანვრის თვეს, მშინ გატარებების ეკრანზე გამოჩენდება მხოლოდ იანვრის თვის თარიღებით შესრულებული გატარებები და შესაბამისად საბოლოო შედეგებიც (ნაშთები, ბრუნვები, ინგარიშის ბარათი და ა.შ.) გექნებათ ამ გატარებებიდან გამომდინარე.

ანალიზურ პერიოდს აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს ე.წ. გამომავალი (RL) დოკუმენტების ფორმირებისთვის. ავტომატიზე ანუმბილი

ასეთი დოკუმენტების უმეტესობა ანგარიშებიდან იღებს მნიშვნელობებს სწორედ ანალიზური პერიოდის დიაპაზონში.

ზემოთ მოცემულ ეკრანზე **OK** და **Cancel** - ის გასწვრივ არის ღილაკი - “დიაპაზონში ბრუნვების ხელახალი გადათვლა”, რომელსაც შემდეგი დანიშნულება აქვს: თუ თქვენს მიერ რომელიმე ანალიზური პერიოდისთვის, ეკრანზე არაფორმექტულად ჩანს გატარებების შესაბამისი შედეგები, მშინ უნდა დააჭიროთ ამ ღილაკს და იგი პროგრამას თავიდან გადაათვლევინებს ბრუნვებს მოცემულ დიაპაზონში. რის შემდეგაც ეკრანზე გამოტანილი უზუსტობები გამოსწორდება.

საოპერაციო პერიოდის დაყენების შემდეგ პროგრამაში შესაძლებელია საბულალტრო ოპერაციების შესრულება. რასაც განვიხილავთ მომდევნო თავში.